



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

2017 წელი 28 აპრილი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადების მოწონების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 09 მარტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ №5 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესი“-ს შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში საბავშვო ბაღის მშენებლობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადება მოწონებული იქნეს დანართი №1 თანახმად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე